ოქმი:**ო31.31210611**

თარიღი:**02/03/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი N3

ქ. ლანჩხუთი

26. 02. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი ალეკო კირვალიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა სამი საკითხი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.

მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2.„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

9. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.

მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე– 2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე ნაწილის „ე“ პუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა ზემოთაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: CN =IMGX ITL X CX K, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;

3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.

4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე

დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: CN =0,38 X1 X 0,24 X 100=9,12.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ იქვე განმარტა, რომ

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N4 (26.02.2021)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლის მიხედვითაც:

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1%, რომელიც მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე-3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე-2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე-1,5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს-3-ჯერ.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ 202-ე მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%. ამ მუხლის მიზნებისთვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისთვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისთვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 %.

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,1 %.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

1. სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 20 ლარი/ჰა;
2. საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 16 ლარი/ჰა;
3. სახნავი (|მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) 73 ლარი/ჰა;
4. საკარმიდამო 73 ლარი/ჰა;
5. სასოფლო–სამეურნეო საქმიანობაშუი გამოყენებული ტყის მიწებისთვის:

ა) სათიბი 20 ლარი/ჰა;

ბ) საძოვარი 16ლარი/ჰა;

გ) სახნავი 73 ლარი/ჰა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით განისაზღვრება.

არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

1. ქ. ლანჩხუთში ტერიტორიული კოეფიციენტი-1,0, საბაზისო განაკვეთი 0,24 ლარი/$მ^2$-ზე, წლიური გადასახადის განაკვეთი 0,24 ლარი/$მ^2$-ზე.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტერიტორიული კოეფიციენტი-09, საბაზისო განაკვეთი 0,24 ლარი/$მ^2$-ზე, წლიური გადასახადის განაკვეთი 0,216 ლარი/$მ^2$-ზე.

ქონების გადასახადისგან გათავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლებვზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება

600 კვ.მ-ს.

ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ** განმარტა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N5 (26.02.2021)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,რუდუნის“ (ს/ნ 433651844) თავმჯდომარემ ნინო ბარამიძემ, რომელმაც აღნიშნული იურიდიული პირის საოფისე ფართის განთავსების მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N126 - ში მდებარე შენობა - ნაგებობის (ყოფილი სასტუმრო) მესამე სართულზე მდებარე N216 – 43,90 კვ.მ ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01/216)) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება განმცხადებელს გადაეცეს 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით. მისი თქმით პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N6 (26.02.2021)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, მიმდინარე წლის 8 თებერვლის 04-302103981 ნომრით რეგისტრირებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიაჩნია რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები: კერძოდ, წესით განსაზღვრულ ინტელექტუალურ-შემეცნებით, კულტურულ და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას დაემატოს საგანმანათლებლო

პროექტების თანადაფინანსება, ხოლო აღნიშნული პროექტებისათვის განსაზღვრული თანადაფინანსების თანხა - 1500 ლარი შეიცვალოს 3000 ლარით. ასევე წესის პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებზე, გარდა საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კონკურსებისა და მედია პროექტებისა. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღებაც გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

დასასრულს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ** დამდეგი ქალთა დღესასწაულები წინასწარ მიულოცა ქალბატონ დეპუტატებს და წარმატებები უსურვა მათ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N7 (26.02.2021)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომში - ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება. ინსტიტუტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეიმუშავა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია თანდართული დოკუმენტაციით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ხსენებული განაშენიანების გეგმის პროექტის განხილვის მიზნით 2020 წლის 22 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა საჯარო განხილვა, სადაც მოსმენილ იქნა დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით. აგრეთვე, განაშენიანების გეგმის პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეგზავნათ დაინტრესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს. საჯარო განხილვის შედეგებისა და სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების/მოსაზრებების განხილვის შედეგად, ინსტიტუტმა წარმოადგინა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტმა განიხილა 2021 წლის 21 იანვრის N30-302102150 წერილი (შემოსული დოკუმენტი 190/01. 21.01.2021) და თანდართული მასალა, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N-93 ხელშეკრულების ფარგლებში, საპროექტო მომსახურების მეორე ეტაპის კორექტირებული მასალა - განაშენიანების გეგმის (გგ) კონცეფციის დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შემუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად კვალიფიციურ დონეზე. ამასთან რჩება გარკვეული რეკომენდაციები,

რომლის გათვალისწინებაც საჭირო იქნება დოკუმენტის შემუშავების შემდგომ ეტაპზე. ესენია:

· ერთგვაროვანი არეალების ნახაზები, მიზანშეწონილია დამუშავდეს ერთნაირ მასშტაბში.

· გზამკვლევის შეთანხმებული ვერსია დამუშავდეს სამივე ეტაპის მასალებისთვის, თქვენი შემოთავაზების შესაბამისად.

· გგ-ს პროექტის შემადგენლობის თანმიმდევრობა, სასურველია იყოს თანხვედრაში საკანონმდებლო სარეკომენდაციო აქტებში არსებულ თანმიმდევრობასთან.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, განაშენიანების გეგმის კონცეფციას ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. ამასთან, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260-ე დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით. ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის შემუშავებაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N8 (26.02.2021)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა სპეციალური დაცვის სამსახურის, შ.პ.ს. ,,ომეგა“ - მ.ბ.რ. - ს (ს/ნ - 206178447) დირექტორმა რამაზ ჩიჩუამ, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქ. N37 - ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ - 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე N18 – 12.58 კვ.მ. ფართი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს. ,,ომეგა“ - მ.ბ.რ. - ს, 5 წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,

სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 8834 განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 442 ლარს.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ** განმარტა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N9 (26.02.2021)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N7059-რს, 17.07.2020) საქართველოს კანონის 313-ე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12−მე-16 ნაწილებითა და 1254 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მერიის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტი და ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N10 (26.02.2021)

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მისი განმარტებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო

კურსის დაფინანსების პროგრამა“ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის ღ) ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტი შეარჩევს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარეაბილიტაციო კურსის ადგილზე (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში) მოწოდებაზე გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელიც არ შედგა. ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან პროგრამა გათვლილია 11 თვეზე და არ შედგა ტენდერი, ასევე განმეორებით ტენდერის გამოცხადება დამატებით გაიწელება დროში, რითაც ხელი შეეშლება ბავშვების სარიაბილიტაციო კურსის დაფინანსებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს მართებულად მიაჩნია ბავშვების სარეაბილიტაციო კურსის ვაუჩერული პრინციპით დაფინანსება, რისთვისაც საჭიროა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანა კერძოდ:

დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, რომელიც პროექტის სახით ინიცირებულია თქვენს წინაშე. ზემოაღნიშნული პროგრამიდან დახმარების გასაცემად აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა და მიღება. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას, ხოლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ასახულია 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, რომ ბავშვების სარეაბილიტაციო კურსის ვაუჩერული პრინციპით დაფინანსების შემთხვევაში, ხომ არ შეიცვლება მომსახურების თანხა.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ

ბავშვების სარეაბილიტაციო კურსის მომსახურეობის საფასური შეადგენს 20 ლარს და იგი არ იცვლება, ხოლო მომსახურეობის ადგილს, თავისთვის ხელსაყრელი პირობებით, შეარჩევს მშობელი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დასძინა, რომ რადგან აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების საფასური არ იცვლება, ტერიტორიული პრინციპითაც უფრო გამართული იქნება ეს პროგრამა, რადგან მშობელს საშუალება ექნება თავისი შვილი ატაროს მისთვის ხელსაყრელ სარეაბილიტაციო ცენტრში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N11 (26.02.2021)

სხვადასხვა საკითხები:

დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ჩასატარებელია რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

ა) ბაგრატიონის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემის მოსახლეობაში შეყვანის სამუშაოების განხორციელების დროს დაზიანდა ცხაური და საჭიროებს რეაბილიტაციას.

ბ) ლაშისღელის ასიათასი მოწამის სახელობის ტაძრის მიმდებარედ, გასაკეთებელია სანიაღვრე არხი, რადგან წვიმის დროს იტბორება ქუჩა და ტაძრის ეზო.

გ) თავისუფლების ქუჩაზე მცხოვრები გურამ კუხიანიძე და დიმიტრი ურუშაძე ითხოვენ ნაძვების მოჭრას, რადგან საშიშროებას უქმნის მათ სახლებს.

დ) დუმბაძის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს სკვერის მოწყობას ქუჩის დასაწყისში, სადაც გასასწორებელია მიწაყრილი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მისთვის ცნობილია ეს პრობლემები და შესაბამის სამსახურებთან ერთად, შესაძლებლობის ფარგლებში მოაგვარებს მათ.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** დამდეგი დღესასწაულები მიულოცა ქალბატონებს და აღნიშნა, რომ ზემო ჩიბათის მოსახლეობა ექსტრემალურ პირობებში ვერ ახერხებს სასწრაფო დახმარებასა და სახანძრო-სამაშველო სამსახურთან დაკავშირებას, რადგან მაგთიკომის მობილური ოპერატორიდან კომუნიკაცია ვერ ხერხდება და ითხოვენ დახმარებას.

ასევე, დეპუტატმა მოსახლეობის სახელით ითხოვა გაკეთდეს მოსაცდელი ლესის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, ბათუმის მიმართულებით მიმავალი მგზავრებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ორივე შემთხვევაში საჭიროა მოსახლეობამ შემოიტანოს მოთხოვნა აღნიშნულ საკითხებზე, რის საფუძველზეც მერია შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის დეპარტამენტებს პრობლემის მოსაგვარებლად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი